კონცენტრაციების სამართლებრივი რეგულირება ეკონომიკურ აგენტებს შორის

კონსტანტინე გაბუნია

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, საქართველოსა და ევროკავშირის კონცენტრაციების მარეგულირებელი ნორმები. მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრულია ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც სახეზეა საქართველოს კანონმდებლობაში, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე აღსრულებისა და სანქციების დაკისრების კუთხით. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სამართლებრივი სივრცე განიცდის ინფორმაციის სიმწირეს აღნიშნული დარგის მიმართულებით(არ არის სახეზე საკმარისი რაოდენობის, არც სამეცნიერო სტატიები და არც შესაბამისი კვლევები), აღნიშნული ნაშრომი იწყება კონცენტრაციის არსის უკეთ აღქმისა და გაგებისათვის საჭირო ძირითადი ელემენტების მიმოხილვით. განსაზღვრულია, როგორც კონცენტრაციის არსებობისათვის საჭირო ძირითადი ელემენტები, ასევე მისი სახეები და კონცენტრაციის იდენტიფიცირებისათვის საჭირო რაოდენობრივი და თეორიული კრიტერიუმები. როგროც უკვე აღინიშნა, ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საქართველოს კონცენტრაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, ხარვეზებით გამოწვეული შედეგების განსაზღვრა და მათი აღმოფღვრის გზების შეთავაზება. კერძოდ, ნაშრომში განსაზღვრულია, რომ აღნიშნულ ხარვეზს წარმოადგენს კონკურენციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, კონცენტრაციების ჭრილში, იმ ძირითადი სანქციებისა და ბერკეტების არ არსებობა, რაც უზრუნველყოფს ანტიკონკურენციული კონცენტრაციების, შესაბამის ბაზარზე წარმოქმნის პრევენციას და აღმოფხვრას. ამრიგად, ნაშრომში განხორციელებული კვლევისა და მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, ირკვევა, რომ კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია კონკურენციის რეგულირებისათვის საჭირო ეფექტური სანქციები, კონცენტრაციების ჭრილში. შესაბამისად, ნაშრომის ბოლო ნაწილში განსაზღვრულია, მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა და შეთავაზებულია ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, ამ კუთხით გასატარებელი რეფორმები.

Abstract

The purpose of this research is to identify the gaps in the georgian merger regulation system. At first the work discusses the key elements of the concentrations: merger, type of mergers, control definition, fines. Further is defined the problem of the research which is the fact that georgian legislative system of competition does not contains relevant and serious fines, when undertakings are acting illegal and damaging the competition in the market. The work highlights that the georgian competition agency does not have relevant fines or some other lever to exercise the purposes which competitions agency does. At the end of the work the solutions of the problem are suggested.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სამართლის მაგისტრს, ბატონ ამირან მეშველიშვილს.